საქართველოს კანონმდებლობა სეპარატიზმისა და ეთნიკური დაპირისპირებების შესახებ

სოფიო დოდონაძე
სტუ-ს დოქტორანტი

საქართველოს კონსტიტუცია პირველსავე მუხლში მიუთითებს, რომ "საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით, რომელიც ჩატარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით."[1] ყოველი მცდელობა ამ ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა კონსტიტუციის ნორმების ხელყოფად აღიქმება და შესაბამის რეაგირებას განაპირობებს. სამწუხაროდ, საქართველოს სინამდვილე არაერთი გარე თუ შიდა ფაქტორის გავლენით უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა, ვიდრე ამას მოელოდა იმ ადამიანების კოჰორტა, რომლებიც დიდი აღტკინებითა და სულიერი აღმავლობით შეეგება ქვეყნის ნანატრ თავისუფლებას, მის დახსნას კომუნისტური იმპერიიდან. დღეს უკვე ნათელია, რომ წარსული თავს არ ანებებს მრავალტანჯულ ქვეყანას და კომუნისტურ პერიოდში ჩადებული ნაღმები მოქმედებაში მოდის. სწორედ ამის მიზეზია ის დაუსრულებელი და გადაუწყვეტელი პრობლემები, რომლებიც საქართველოში სეპარატიზმის გამოვლინებასთანაა დაკავშირებული: მოუგვარებელი კონფლიქტები აფხაზეთში, საქართველო და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

თითქოს არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება დაარღვიოს საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა, გადასინჯოს და გადაანაწილოს მისი საზღვრები, ძირძველ მიწას ჩამოაშოროს ორი უმნიშვნელოვანესი რეგიონი და გააჩაღოს ძმათამკვლელი ომები, რომლებშიც გამარჯვებული მხოლოდ ჩვენი ხალხების ქართველების, აფხაზების, ოსების, და სხვა ეროვნების ადამიანების მტრებია გამარჯვებული. საქართველოს კონსტიტუცია ცალსახად აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, ე.ი. იმ მომენტისათვის, როდესაც საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოცხადდა და საქართველომ, 1921 წელს სამხედრო ინტერვენციის შედეგად დაკარგული, დამოუკიდებლობა აღიდგინა. საქართველოს კანონმდებლობა დაფუძნებული საქართველოს კონსტიტუციაზე მიუთითებს, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აგრეთვე სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ეს უკანასკნელი, თუ არ ჩავთვლით რუსეთის ფედერაციის ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებს სეპარატისტული, მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ცნობის შესახებ, ეჭვის ქვეშ საერთაშორისო თანამეგობრობას და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებას არასოდეს არ დაუყენებია.

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ 2008 წლის სამხედრო აგრესიის შედეგად ფეხქვეშ გათელა საერთაშორისო კანონმდებლობით აღიარებული ნორმები, თავისივე მრავალჯერადი განცხადებები საქართველოს ერთიანობისა და განუყოფლობის შესახებ და ყველა არსებული სამართლებრივი ნორმის უგულვებელყოფით გამოაცხადა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რითაც უხეშად იქნა დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის ნორმა იმის თაობაზე, რომ "საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით"[2]. რუსეთმა თავის ქმედებას საფუძვლად დაუდო ამ ორი რეგიონის დეფაქტო ხელისუფალთა განცხადებები იმის თაობაზე, რომ მათი ხალხების ურყევი ნებაა, იცხოვრონ დამოუკიდებლად, საქართველოს შემადგენლობიდან გავიდნენ და ჩამოაყალიბონ სუვერენული სახელმწიფოები.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტები თავისი უკანონო

[1] საქართველოს კონსტიტუცია თბილისი, ბონა კაუზა, 2011.

[1] საქართველოს კონსტიტუცია თბილისი, ბონა კაუზა, 2011.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

მოქმედებების უმნიშვნელოვანეს არგუმენტად ასახელებენ ხალხების თვითგამორკვევის პრინციპებს. ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ მათთვის უცნობია ის, თუ როგორ პასუხობს საერთაშორისო სამართალი, რომლის შემადგენელ ნაწილსაც საქართველოს სამართალიც წარმოადგენს, იმ სიტუაციებს, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობა ირღვევა ეთნიკური კონფლიქტის შედეგად.

უნდა ხაზგასმით ითქვას, რომ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისო ურთიერთობების არა მარტო ძირეული პრინციპი, არამედ ის პრინციპიცაა, რომელსაც საერთაშორისო მართლწესრიგი, როგორც ასეთი, ემყარება. სახელმწიფოთა მიერ საკუთარი ტერიტორიის კონტროლი (მიუხედავად ამ სახელმწიფოთა შიდატერიტორიული ორგანიზაციისა) მათ მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების წინაპირობაა. ტერიტორიის კონტროლი წარმოშობს სახელმწიფოს იურისდიქციას და ეს ფაქტორი გადამწყვეტია სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისათვის. თუ სახელმწიფო კარგავს მისი ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილის კონტროლს, იგი, შესაბამისად, კარგავს არსებულ ტერიტორიაზე საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უნარს. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულ შედეგებს წარმოშობს ადამიანის უფლებათა დამცავი ვალდებულებების მოქმედების სფეროში. ამის საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება. ისეთისა, როდესაც საქართველო შეუერთდა მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებას, კონვენციას და ა.შ. დათქმის პრინციპის გამოყენებით, რაც გულისხმობდა მის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას კონფლიქტურ რეგიონებში. ეს, რასაკვირველია, აკნინებს საერთაშორისო ნორმების საქართველოში იმპლემენტაციის პროცესის მნიშვნელობას, მაგრამ სხვა გამოსავალი სახელმწიფოს არ გააჩნდა. აქედან გამომდინარეც კარგად ჩანს, რომ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისო მართლწესრიგის საფუძველია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მუხლი 2(4) კრძალავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერი წესით დარღვევას. გაეროს დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ამსახველი დოკუმენტია, თუმცა ადასტურებს ხალხების თვითგამორკვევის პრინციპს, მაგრამ აშკარად გასაგებად აცხადებს, რომ თვითგამორკვევის მოშველიებით დაუშვებელია ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. გენერალური ასამბლეის დეკლარაცია კოლონიური ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ ასევე გამორიცხავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას თვითგამორკვევის უფლების მოშველიებით. ანალოგიური გადაწყვეტა პოვა ამ საკითხმა კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში კვებეკის სეცესიის თაობაზე, რომელიც ცალსახად ადასტურებს, რომ უკანონო გზით განხორციელებული სეცესიის დაკანონება შეუძლებელია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შემდგომი ცნობის მეშვეობითაც, რადგან „ასეთი ცნობა, მისი მინიჭების შემთხვევაშიც კი, ვერ გამოიწვევს სეცესიის აქტის რეტროაქტიულ გამართლებას კანადის კონსტიტუციის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით".[3] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პირველი მუხლის კომენტირებისას ადასტურებს, რომ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა უარყოფით ზეგავლენას ახდენს თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზაციაზე და აქედან გამომდინარე, თვითგამორკვევის პრინციპი ამის სანქციონირებას არ ახდენს. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტის დასკვნაც ადასტურებს, რომ თვითგამორკვევის უფლების მოშველიებით სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის სრული ან ნაწილობრივი ხელყოფა სანქციონირებული არ არის. როგორც ვხედავთ აფხაზ და ოს სეპარატისტებს ცუდად ესმით, ან არ უნდათ გაიგონ თვითგამორკვევის პრინციპების არსი და სამართლებრივი ბუნება. ამდენად სისხლიანი დაპირისპირება, რომელიც ამ ე.წ. თვითგამორკვევას ახლდა, გენოციდი და ეთნიკური წმენდა სხვა არაფერია, თუ არა საქართველოსა და საერთაშორისო სამსრთლის ნორმების უხეში დარღვევა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დარღვევების უკან ადრე ფარულად, ხოლო 2008 წლის შემდეგ, კი ღიად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, საქართველოს საკითხებში გაერთანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის "მეგობართა ჯგუფის" წევრი (რა ცინიზმია!)[4] რუსეთის ფედერაცია დგას.

გაეროს 1970 წლის 24 ოქტომბრის დეკ-

[3] ორახელაშვილი ა., "აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე", თბილისი, ინტელექტუალი №9, 2009.

[4] ავტორის შენიშვნა.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ლარაცია "გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის პრინციპების თაობაზე", მართალია, უშვებს დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნას ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპებზე დაყრდნობით, მაგრამ იქვე ხაზგასმით მიუთითებს იმის თაობაზე, რომ ეს პრინციპები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული და ინტერპრეტირებული ისე, რომ სანქციონირებულია ან წახალისებული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივი ან სრული დარღვევა, ქვეყნის დანაწევრება, მისი პოლიტიკური ერთიანობის ხელყოფა. ეს დასაშვებად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოში არ არის უზრუნველყოფილი ყველა ერისა და ეროვნების, რასისა და რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანთა თანაბარი უფლებები, თუ ხელისუფლების უმაღლესი და სხვა ორგანოების ფორმირება ხდება მთელი მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე, თუ სახელმწიფო ორგანოებში წარმომადგენლობა დამოკიდებულია ეროვნებაზე და არა პიროვნულ თუ საქმიან თვისებებზე.[5]

ამ თვალსაზრისით საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის ან სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა და ვერც იარსებებს. თუ უახლოეს ისტორიას გადავხედევთ ნათლად ჩანს, რომ დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის იბრძოდა ერთიანი, განუყოფელი საქართველო. 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიაც საქართველოს სსრ მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა და ამ არჩევნებში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ძალამ მიაღწია წარმატებას.

1990 წლის 14 ნოემბერს ახლადარჩეული მრავალპარტიული უზენაესი საბჭო თავის პირველსავე სესიამ გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს სსრ-ს სახელის შეცვლასთან დაკავშირებით. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდა - საქართველოს რესპუბლიკა, შეიტანეს შესაბამისი ცვლილებები კონსტიტუციაში, შეიცვალა სახელმწიფო გერბი, დროშა და ჰიმნი, გამოცხადდა სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარდამავალი პერიოდი.

1991 წლის 31 მარტი უმნიშვნელოვანესი თარიღი იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში - საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი ჩაატარა. რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის დამოკიდებულება ქვეყნის სუვერენიტეტისადმი არავითარ ეჭვს არ იწვევდა, ისევე როგორც არ იწვევდა ეჭვს საქართველოში მოსახლე სხვა ერების წარმომადგენელთა დამოკიდებულება, მაგრამ ამ აქტით ხელისუფლებას სურდა ხალხის განწყობილების სამართლებრივი დადასტურება. რეფერენდუმი მოსალოდნელი აღმავლობით ჩატარდა. "დასმულ კითხვაზე -"გსურთ თუ არა საქათველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე" - დადებითი პასუხი გასცა რეფერენდუმში მონაწილეთა 99,85%-მა. 31 მარტის შემდგომ აღარ არსებობდა არც ერთი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სამართლებრივი აქტით საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის წინააღმდეგ". ამ რეფერენდუმშიაც საქართველოს მთელი მოსახლეობა, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მოსახლეობა სრული შემადგენლობით მონაწილეობდა, აღნიშნავს თავის მონოგრაფიაში პროფ. შ. დოღონაძე.[6]

რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომამ 1991 წლის 9 აპრილს ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო. სხდომის დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ამ დღეს უზენაესი საბჭოს მიერ ერთსულოვნად მიღებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით საქართველო დამოუკიდებელ, ერთიან და განუყოფელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ნათქვამია:"1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს

[5] Декларация о принципах международного права, касающихся дружественных отношений и сотрудничества между государствами в соответствии с Уставом Организации Объединенных Наций (принята Генеральной Ассамблей ООН 24 октября 1970 года) http://www.un.org/ru/documents/decl_conv/declarations/intlaw_principles.shtml

[6] დოღონაძე შ., საქართველო: გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამეგობრობისაკენ, თბილისი, " მეცნიერება", 2002.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე".[7] ბუნებრივია, ეს გადაწყვეტილება იმხანად არავის, მათ შორის არც აფხაზეთის ასსრ მოსახლეობასა და მაშინდელ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დასახლებულ მოქალაქეებს არ გაუპროტესტებიათ. ამდენად კიდევ ერთხელ დაბეჯითებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სეპარატისტების მოქმედებას არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

აქვე უნდა აღინიშნოს იმ პრეცენდენტების შესახებაც, რომელიც საქართველოს სამართალმა დაუშვა იმ თვალსაზრისით, რომ აფხაზეთის წარმომადგენლობა ყოფილიყო ცენტრალურ ხელისუფლებაში. მაგალითად: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს რამდენიმე მოწვევით შეუნარჩუნდა უფლებამოსილება. არაერთი აფხაზი და ოსი ეროვნების პირი დაინიშნა მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე. აქვე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის თაობაზე, რომ აფხაზი ეროვნების მოქალაქეებს აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირებისას, ჩვენი აზრით, გაუმართლებელებელი პრივილეგიები მიანიჭა. ამდენად ხაზგასმით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არც საქართველოს სამართალი, არც შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი არ უმაგრებს ზურგს თვითგამორკვევის უფლების იმ სახით რეალიზაციას, რომლითაც ამ უფლებას ყველაზე ხშირ შემთხვევებში მოითხოვენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები: ტერიტორიული ავტონომიის სახით და ადამიანის უფლებების დარღვევათა შემთხვევაში და რაც ასე უაპელაციოდ განხორციელდა აფხაზეთში, საქართველო და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

ჩვენ ვიზიარებთ ალექსანდრე ორახელაშვილის მოსაზრებას, გამოთქმულს სტატიაში "აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე", იმის თაობაზე, რომ "ტერიტორიული ავტონომიის საკითხი საერთაშორისო სამართლის რეგულირების სფეროს მიღმაა. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია, რადგანაც როგორც კოსოვოს, ისე აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარების პროცესში საქართველოს და იუგოსლავიას გამუდმებით წაეყენებოდათ და წაეყენებათ მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, რომ მათ უნდა მიიღონ საკუთარი ტერიტორიული მოწყობის ესა თუ ის ფორმა თუ მოდელი. .. ამავე დროს, აღნიშნულ მოთხოვნებს, მიმართულს საქართველოსა და იუგოსლავიის მიმართ, საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, რადგანაც აფხაზეთისა და კოსოვოს ტერიტორიულ-სამართლებრივი სტატუსი არის არა საერთაშორისო სამართლის, არამედ, შესაბამისად, საქართველოსა და იუგოსლავიის შიდასახელმწიფო კონსტიტუციური სამართლის რეგულირების საგანი. იუგოსლავიასა და საქართველოს საერთაშორისო სამართალი აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ მთელ საკუთარ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და კოსოვოს ჩათვლით, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნათა დაცვა როგორც მშვიდობის, ისე შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ამისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა, რომელიც იუგოსლავიას, საქართველოს ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს დააკისრებდა ტერიტორიული მოწყობის ამა თუ იმ კონკრეტული ფორმის მიღების ან ამა თუ იმ ტერიტორიაზე ავტონომიური წარმონაქმნების შექმნისა თუ შენარჩუნების ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, რამდენადაც მორალურად დასაგმობი არ უნდა იყოს იუგოსლავიის მთავრობის მიერ კოსოვოს ავტონომიის გაუქმების ფაქტი, იგი საერთაშორისო სამართლის დარღვევა არ არის.[8] ასევეა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების საკითხთან ჩვენი დამოკიდებულება, თუმცა იმ ეტაპზე იქნებ არცკი ღირდა ასე საქმის გამწვავება. თუმცა საქართველოს კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად განმარტავს „საქართველოს ტერიტოტიული და სახელმწიფო მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ".[9]

აქვე არ შეგვიძლია არ შევეკამათოთ ბატონ ალექსანდრე ორახელაშვილს სტატიის სათაურთან დაკავშირებით, რამდენადაც ჩვენ იმ აზრს ვიზიარებთ, რომ არ არსებობს როგორც ასეთი აფხაზეთის კონფლიქტი, არამედ კონფლიქტის კორექტული დასახელებაა: კონფლიქ-

[7] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო (1990 წლის ნოემბერი-1991 წლის მაისი) გამომცემლობა „მარიხი", თბილისი, 1991, გვ.4.

[8] ორახელაშვილი ა., "აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე", თბილისი, ინტელექტუალი №9, 2009.

[9] საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, ბონა კაუზა, 2011.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

ტი აფხაზეთში, საქართველო. მიგვაჩნია, რომ ასეთი დასახელება უფრო სწორად გამოხატავს კონფლიქტის არსსა და მასში მონაწილეების მხარეების დამოკიდებულებებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კანონმდებლობაც სერიოზულ დანაშაულად რაცხს სახელმწიფო საზღვრების ხელყოფას, რაც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა. აფხაზი და ოსი სეპარატისტების ქმედება ექცევა სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი მნიშვნელოვანი მუხლების ქვეშ, როგორიცაა კოდექსის 37- თავში "დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ" ჩამოთვლილი მუხლები. ასევე, ანტიკონსტიტუციური და დანაშაულებრივია ის ქმედებები, რომლებიც ჩადენილია ეროვნული შუღლის გაღვივებისა და ადამიანთა დევნის თვალსაზრისით.

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად. მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ (აკი, გამოცხადებულია კონსტიტუციით აფხაზური ენა სახელმწიფო ენად აფხაზეთის ტერიტორიაზე).

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას აღნიშნავს თავის ნაშრომში "ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში" – პროფესორი ჯონი ხეცურიანი.[10]

უკვე არავისათვის საიდუმლი არ არის, რომ სეპარატისტებისა და მათი მხარდამჭერების მიერ ეს პრინციპები არათუ დარღვეული, არამედ სრულიად უგულებელყოფილია. აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სისტემატურად ირღვევა ადამიანის ელემენტარული უფლებები, დევნიან მოსახლეობას ეთნიკური ნიშნით. ამიტომაცაა, რომ ეთნიკური წმენდისა და ადამინის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულებების შესახებ აღნიშნულია არა მარტო საქართველოს მიერ მიღებულ დოკუმენტებში, არამედ საერთაშორისო ფორუმებისა და ორგანიზაციების დოკუმენტებშიაც. ეუთო-ს ბუდაპეშტისა (1994) და ლისაბონის (1996) შეხვედრების დასკვნით დოკუმენტებში დადასტურდა, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებსა და ეთნიკურ წმენდას „უპირატესად ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ", ასევითვე შეფასებებია გაკეთებული ზოგიერთ სხვა საერთაშორისო დოკუმენტშიც. იმედს ვიტოვებთ, რომ სეპარატისტთა ქმედება დაუსჯელი არ დარჩება, ისე როგორც ეს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის არაერთ ორგანიზატორსა და შემსრულებლებს უწია. მაგრამ ამას დრო და დიდი მუშაობა სჭირდება. ასევე უნდა გამოიხატოს მსოფლიო მნიშვნელოვანი ფაქტორების სათანადო ნება. საერთაშორისო სასამართლო მექანიზმების არსებობა ჯერ კიდევ იმის პირობა არ არის, რომ დამნაშავეთა დასჯა გარდუვალია.

ქვემოთ კომენტარის გარეშე გთავაზობთ კონფლიქტებთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებშიაც ხაზგასმულია ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ასპექტები. ამ დოკუმენტების ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ თამამად ითქვას, ისინი დოკუმენტები ცალსახად მიუთითებენ, რომ აფხაზეთსა, საქართველო და ყოფილ სამხრეთ ოსეთში დარღვეულია საქართველოს კანონმდებლობის ყველა არსებული ნორმა, ხელყოფილია საერთაშორისო სამართალი.

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ / 1990, 11 დეკემბერი.

2. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო და მილიციის ნაწილების დაქვემდებარებისა და მათი საქმიანობის კოორდინაციის დროებითი სამხედრო საბჭოს შექმნის შესახებ / 1991, 29 დეკემბერი.

3. შეთანხმება საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ / 1992, 24 ივნისი.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ / 1992, 2 აგვისტო.

5. შეთანხმება აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზ-

[10] ხეცურიანი ჯ. ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

მის შესახებ / 1993, 27 ივლისი.

6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტეიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ / 1994, 10 მარტი.

7. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ / 1995, 24 თებერვალი.

8. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის შესახებ / 1997, 9 ივლისი.

9. ევროპარლამენტის რეზოლუცია "საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ / 1998, 17 ივლისი.

10. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის სტამბოლის შეხვედრის დეკლარაციიდან / 1999, 19 ნოემბერი.

11. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთში სახელმწიფო ქონების და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კერძო საკუთრების უკანონო გასხვისების შესახებ / 2002, 20 მარტი.

12. ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ / 2005, 11 ოქტომბერი.

13. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული ვითარებისა და სამშვიდობო პროცესის მიმდინარეობის შესახებ **/ 2006, 15 თებერვალი.**

14. საქართველოს პარლამენტის დადგენილება კონფლიქტებთან (აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) დაკავშირებით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად საქმეების მომზადების მიზნით იურიდიული ფირმის შესარჩევად საერთაშორისო ტენდერის გამოცხადების შესახებ / 2006, 17 მარტი.

სამწუხარო რეალობა კი ის არის, რომ 2008 წლის აგვისტოში მოხდა გამოუსწორებელი რამ, განახლდა ცეცხლი, საქართველომ თავის თავზე იწვნია რუსეთის აგრესია და ინტერვენცია. ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთმა და ორიოდე ქვეყანამ ცნეს მარიონეტული რეჟიმების მიერ მიტაცებული ძალაუფლება და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცხადებით, რუსეთს ყველა საფუძველი ჰქონდა მიეღო ასეთი გადაწყვეტილება, არგუმენტებს შორის ხაზგასმულია გაეროს წესდების, გაეროს 1970 წლის 24 ოქტომბრის დეკლარაციისა და ეუთოს 1975 წლის დასკვნითი აქტისა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნები. პროფესორი ჯონი ხეცურიანი თავის ნაშრომში "ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში" საფუძვლიანი მსჯელობით აქარწყლებს რუსეთის ფედერაციის ლიდერისა და სხვა პოლიტიკოსების არგუმენტებს. ჩვენ ვეთანხმებით ავტორის იმ პოზიციას, რომ რუსეთმა არათუ გაითვალისწინა და მიიღო საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები, არამედ თავისი ქმედებით უხეშად დაარღვია ისინი. საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია ძირითადი პრინციპი, რომლებიც შეადგენს საერთაშორისო სამართლის სისტემის უმნიშვნელოვანეს საფუძველს. ღრმა ანალიზი არ სჭირდება იმის დადასტურებას, რომ რუსეთის ფედერაციამ 2008 წლის აგვისტოში და შემდგომ თავისი მოქმედებებით ეს პრინციპები დაარღვია. მის მიერ გამოცემული დოკუმენტები და მისი ქმედებები ეწინააღმდეგება:

- სახელმწიფოს ტერიტორორიული მთლიანობის პრინციპს;
- სახედლმწიფო საზღვრების ურრღვეობის პრინციპს;
- სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს;
- სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს;
- საერთაშორისო დავების მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპს;
- ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპს;
- საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპს;
- სახელმწიფოების ერთმანეთთან თანამშრომლობის პრინციპს;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის პრინციპს;

ამიტომაც იყო, რომ ევროკავშირმა დაგმო რუსეთის ერთპიროვნული გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ და მოუწოდა სხვა ქვეყნებს არ ცნონ გამოცხადებული დამოუკიდებლობა. აქვე ევროკავშირმა მიუთითა, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტების, რომელიც დღეისათვის გაყინულ კონფლიქტებად მიგვაჩნია, მშვიდობიანი მოწესრიგება უნდა

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

იყოს მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის საზრუნავი და ის უნდა დაეფუძნოს საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე.[11]

"რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებები საქართველოს სეპარატისტული რეგიონების -აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ყველა ნორმასა და პრინციპს, რომელიც რუსეთის კონსტიტუციით რუსეთის ნაციონალური სამართლის შემადგენელი ნაწილია, ის არა მარტო საერთაშორისო კანონიერებას, არამედ თვით რუსეთის კონსტიტუციურ კანონიერებას არღვევს. ამის გამო მას არა აქვს იურიდიული ძალა და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს", თვლის პროფესორი ჯონი ხეცურიანი. მიგვაჩნია, რომ მისი დასკვნა სრულიად სამართლიანი და რეალურია. ისიც უკვე ცხადზე ცხადია, თუ რისთვის სჭირდებოდა და როგორ იყენებს რუსეთი სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას და რომ მას საკუთარი ამბიციები და არა ხალხთა ფსევდო თვითგამორკვევა აწუხებს.

თუ როგორ იქცევა რუსეთის ფედერაცია "დამოუკიდებელ" სახელმწიფოებში ამის ნათელი დადასტურებაა ე.წ. სამხრეთ ოსეთში 2012 წლის დასაწყისში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების ფარსი, როგორც კი "ხელისუფლების" სათავეში რუსეთისათვის მიუღებელი პიროვნების არჩევის შანსი გამოჩნდა, სასტიკი და უხეში ფორმებით ჩაშალა არჩევნები. ჩვენ განგებ არ ვასახელებთ კანდიდატებისა და "არჩეული პრეზიდენტის" გვარებს, რამდენადაც ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ერთი მარიონეტით მეორის ჩანაცვლება ოკუპანტების ნაცადი ხერხია.

საქართველოს კი ისღა დარჩენია თანმიმდევრულად მიჰყვეს საერთაშორისო თანამეგობრობისა და მეგობრების რჩევას, განაგრძოს მოლაპარაკებები ე.წ. ჟენევის ფორმატით, ეძებოს გზები კონფლიქტის მშვილობიანი მოწესრიგებისათვის და ასევე თანმიმდევრულად განახორციელოს საქართველოს კანონი "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ", რომელშიაც ხაზგასმულია, რომ "ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ კანონის მოქმედების ვადით ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, აგრეთვე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების, ამ კანონით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და ამ კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით."[12]

მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლისა, საქართველოს ხელისუფლების არა ერთი სამშვიდობო ინიციატივისა, რუსეთის ფედერაციას არ გაჰყავს საოკუპაციო ჯარები, რითაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს თავისი ქმედების აბსურდულობას „დამოუკიდებელ" სახელმწიფოებთან თანამშრომლობის მიმართულებით. ჩვენ იმედს ვიტოვებთ რომ ქართული მიწა გაიწმინდება ოკუპანტებისაგან, გაერთიანდება და გაძლიერდება, ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხი გამონახავს საერთო ენას, იცხოვრებს ერთიან განუყოფელ და ძლიერ სახელმწიფოში ერთიან სამართლებრივ სივრცეში, სადაც უმთავრესი კანონის უზენაესობა იქნება და გამოირიცხება რაიმე ნიშნით ადამიანის დისკრიმინაცია და ჩაგვრა.

[11] Итоговая декларация саммита Евросоюза от 1 сентября 2008 г. (www.newsru.com)

[12] ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი ბონა კაუზა, 2011
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, 1945. http://ka.wikipedia.org/
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 1999.
4. საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ, თბილისი, 1998.
5. საქართველოს კანონი "საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ", საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 11, 1990, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამომცემლობა, თბილისი, 1990.
6. საქართველოს კანონი "საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ", თბილისი, 1990.
7. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო (1990 წლის ნოემბერი-1991 წლის მაისი) გამომცემლობა "მარიხი", თბილისი, 1991.
8. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" 70, 10 აპრილი, 1991.
9. ადამიანისძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, საკანონმდებლო აქტების კრებული, თბილისი, 2001.
10. რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1998-2001) პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, (შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე), თბილისი, "სანი", 2002
11. დოღონაძე შ., საქართველო: გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამეგობრობისაკენ, თბილისი, " მეცნიერება", 2002.
12. ორახელაშვილი ა., "აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე", თბილისი, ინტელექტუალი №9, 2009.
13. მელქაზე ო. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი. თბილისი, გამომცემლობა „უფლება", 1996
14. რონდელი ა., პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, თბ., მეცნიერება 2003.
15. ქოჩორაძე ო., გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ESM ბიზნესის სკოლა. გამომცემლობა. 2009, - 465 გვერდი.
16. ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011.
17. Декларация о принципах международного права, касающихся дружественных отношений и сотрудничества между государствами в соответствии с Уставом Организации Объединенных Наций (принята Генеральной Ассамблей ООН 24 октября 1970 года) http://www.un.org/ru/documents/decl_conv/declarations/intlaw_principles.shtml
18. Итоговая декларация саммита Евросоюза от 1 сентября 2008 г. (www.newsru.com)
19. В.П.Пугачов – "ПОЛИТОЛОГИЯ". Москва, 1999 г.
20. Brodie B. – "War and Politics".N.Y. 1973.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com

LEGISLATION OF GEORGIA ON SEPARATISM AND ETHNICAL CONFRONTATION

SOPHIA DOGONADZE
Ph.D. candidate of GTU

Issues derived from Georgian and international legal regulations connected with separatism and its results are consistently considered in the present article. This is pointed out that the International Law does not recognize dismemberment of country and destruction of territorial or political integrity with reference to self-determination of nation. General principles of the International Law on these issues in no way comply with the actual condition of Abkhazia, Georgia and so called South Ossetia. With respect to these regions, fomentation of conflicts, their course and existence in frozen condition, means rough infringement of the International Law and Legislation of Georgia and signs of criminal offence are observed in actions of separatists. Action of the government of Russia in August of the year 2008 and consequent recognition of the occupied territory as independent states desecrated the International Law and infringed Legislation of Russia itself. Several important international documents and their importance with respect to peaceful settlement of conflicts are discussed in the present article and the confidence is expressed that sooner or later justice will win and Georgia will reinstate its territorial integrity and get free from its occupants

ГРУЗИНСКОЕ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО О СЕППАРАТИЗМЕ И ЭТНИЧЕСКОМ ПРОТИВОСТОЯНИИ

СОФИЯ ДОГОНАДЗЕ
докторант ГТУ

В статье последовательно рассмотрены и проанализированы вопросы вытекающие из норм международного права и грузинского законадательства, связанные с сеппаратизмом и его последствиями. Отмечено, что международное право не признает расчленение государства и разрушение его политического единства ссылаясь на право самоопределения наций. Основные принципы международного права по этим вопроссам никак не подходят к фактическому положению в Абхазии, Грузия и т.н. Южной Осетиию В случаях этих регионов в связи с разжиганием конфликтов, их течении и нынешнем замороженном состоянии, в действиях сеппаратистов наблюдаетя грубые нарушения международного права, законодательства Грузии и признаки уголовно наказуемых преступлений. Дейтвия руководства Российской Федерации в августе 2008 года, в последствии признание независимымы государствами окпированных им территории попрали международное право и нарушили законодательство самой России. В статье рассмотрены ряд важнейших международных документов, касающиеся мирного урегулировании комфликтов в Грузии и выражена уверенность в том, что рано или поздно восторжествует справедливость, будет восстановлена территоряльная целосность Грузии и страна освободится от присутствия оккупантов.

Документ создан с помощью незарегистрированной версии pdfFactory Pro www.pdffactory.com